გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

მუხლი 1

ზოგადი დებულებანი

1.1. **„გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება“** არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. საზოგადოება შექმნილია და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

1.3. საზოგადოება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. საზოგადოება სახელწოდებაა: **„გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება“.**

1.5. საზოგადოების იურიდიული მისამართია: **საქართველო, ქ. თბილისი, ა. ჩანჩიბაძის ქ. №6.**

მუხლი 2

საზოგადოების მიზნები და საქმიანობის ფორმები

2.1. საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს როგორც თეორიული, ისე კერძო და გამოყენებითი ენათ,ეცმიერების ყველა დარგისა და ლინგვისტური სემიოტიკის ისტორიის კვლევას. ამას გარდა, ამ სამეცნიერო საზოგადოების ინტერესთა სფეროში შედის ენის ფილოსოფიის, კოგნიტური მეცნიერების, დამწერლობის, სტილისტიკისა და რიტორიკის საკითხები.

„გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების“ ამოცანებია:

1. ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის კვლევა, მისი კავშირების ძიება ევროპულ და სხვა ტრადიციებთან;
2. ენასთან დაკავშირებული და ენათმეცნიერული იდეების წარმოშობისა და განვითარების გზების შესწავლა და მათ შორის ყველა სახის მიმართებების დადგენა; ენათმეცნიერული იდეების არეალური და ტიპოლოგიური მახასიათებლების კვლევა;
3. ენებზე მოქმედი გარეგანი ფაქტორების გავლენათა შესწავლა ენის შინაგანი სისტემის ყველა სფეროზე ისტორიული და სინქრონული თვალსაზრისით;
4. საქართველოში მომუშავე ენათმეცნიერებისა და ენათმეცნიერული საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა;
5. კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება ენათმეცნიერების ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის შესახებ.

მუხლი 3
საზოგადოების დამფუძნებლები

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

- **ალექსანდრე ფოცხიშვილი** (რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი საბურთალოს ქ. 65 ბ. 2. პირადი № 01024009486, გ0087448, გაც. 04.10.1995 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ)
- **თინათინ ბოლქვაძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: რუსთავი ალ.წულუკიძის I გას. 5. პირადი 35001031166, პ/მ № ბ0242750, გაცემული 04.06.1999 წ. სრს რუსთავის სამსახურის მიერ).
- **დარეჯან თვალთვაძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. 73 ბ. 4. პირადი № 01007009941, დ0256297, გაც. 22.03.2000 წ. დიდუბე-ჩუღურეთის შს III განყოფილების მიერ)

- **მარინა ჯიქია** (თბილისი. რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ატენის ქ. 3, ბ. 10. პირადი № 01008010065, გ0377488, გაც. 04.09.2003 წ. სრ ვაკის სამსახურის მიერ)
- **მერი ნიკოლაიშვილი (**რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. 62ა, პირადი № 01008013147, ა1252106, გაც. 02.03.2009 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ)
- **ციური ახვლედიანი** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. 11 ბ. 126. პირადი № 01008000208, დ1379031, გაც. 17.06.2010 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ).

მუხლი 4
საზოგადოების წევრები

5.1. საზოგადოების ჰყავს წევრები.

5.2. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქე, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას, იზიარებს საზოგადოების დეკლარირებულ მიზნებს, მონაწილეობას იღებს საზოგადოების საქმიანობაში და იხდის საწევრო გადასახადს. თითოეული წევრი საზოგადოების წარმოდგენილია ერთი წარმომადგენელის სახით.

5.3. საზოგადოების წევრად მიღება ხდება მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე საზოგადოების გამგეობის მიერ. წევრად მიღების საკითხს განიხილავს საზოგადოების გამგეობა და გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

5.4. საზოგადოების წევრობის ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა ან მისი მემკვიდრეობით გადასვლა დაუშვებელია.

5.6. საზოგადოების წევრი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს, ლახავს საზოგადოების სახელს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, აგრეთვე, ქვემოთ მითითებული შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) დადგენილ ვადაში საწევრო შენატანის გადაუხდელობისას;

გ) კანონითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.7. საზოგადოების წევრის გარიცხვის შესახებ საკითხის ინიცრება შეუძლია საზოგადოების გამგეობას ან საერთო კრებას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების საერთო კრება.

მუხლი 5
საზოგადოების წევრების უფლებები და მოვალეობები

5.1. **საზოგადოების** ყველა წევრს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საერთო კრების მუშაობაში;
- არჩეულ იქნეს საზოგადოების გამგეობაში, წევრთა კვოტის ფარგლებში;
- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების შესაბამისი ორგანოების ფორმირების პროცესში;
- განახორციელოს საზოგადოების გამგეობის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებები;
- კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
- მიიღოს საზოგადოების შესახებ არსებული ყოველგვარი ინფორმაცია და ასევე, ინფორმაცია საზოგადოების ორგანოებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
- ისარგებლოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ინფორმაციით, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებითა და ემბლემით, საზოგადოების ქონებაზე წესდებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ ორგანოებთან შეთანხმებით და ასოციაციის მიზნების შესაბამისად;
- დაესწროს საზოგადოების გამგეობის ღია სხდომებს;
- სთხოვოს საზოგადოებას დაიცვას მისი ის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც საზოგადოების საქმიანობასთანაა დაკავშირებული;

- თავისი სურვილით გავიდეს საზოგადოებიდან;
- ისარგებლოს სხვა უფლებებით, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და საზოგადოების შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით;
- გახდეს საზოგადოების სრული წევრი.

5.2. საზოგადოების ყველა წევრი მოვალეა:
- დაიცვას საზოგადოების წესდება და შინაგანაწესი. განახორციელოს საზოგადოების სამოქმედო პრინციპები და ხელი შეუწყოს მათ გავრცელებას, უზრუნველყოს საზოგადოების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება;
- შეასრულოს საზოგადოების გამგეობის სავალდებულო გადაწყვეტილებები;
- დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი საერთო კრების მიერ დადგენილი წესის თანახმად;
- შესაძლებლობისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში;
- საჭიროებისამებრ დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- აქტიურად შეუწყოს ხელი საზოგადოების მიზნების განხორციელებას;
- გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებასა და სახელს;
- სხვა ვალდებულებანი, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და საზოგადოების შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

5.3. საზოგადოების წევრს ეკრძალება იმოქმედოს ფონდის სახელით ფონდის გამგეობის ან საერთო კრების მიერ მინიჭებული რწმუნების გარეშე.

საზოგადოების წევრის მიერ წინამდებარე წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ წესდებით გათვალისწინებულ იძულებითი ხასიათის სამართლებრივ შედეგებს.

მუხლი 6
საზოგადოების ორგანოები

6.1. საზოგადოება იქმნება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

მის კომპეტენციას განეკუთვნება:

- საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა;
- გამგეობის წევრთა დანიშვნა;
- საზოგადოების საქმიანობის შემცირება და შეჩერება;
- საზოგადოების მიზნების შეცვლა, სხვა საზოგადოებებთან შერწყმა, თავდაპირველ მიზანთან მსგავსების შენარჩუნება;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ

მუხლი 7
საზოგადოების საერთო კრება

საზოგადოების საერთო კრება **(შემდგომში – საერთო კრება)** წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

მუხლი 8
საერთო კრების ჩატარება

8.1. საზოგადოების მორიგი საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ მაინც ან როდესაც ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.
8.2. წევრთა 1/10-ის ან დამფუძნებელთა საბჭოს წერილობითი მოთხოვნით, აგრეთვე წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეიძლება გაიმართოს საზოგადოების რიგგარეშე (საგანგებო) საერთო კრება, შესაბამისი დღის წესრიგის მითითებით.
8.3. საერთო კრების მოწვევის შესახებ საზოგადოების წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით, საერთო კრების ჩატარებამდე 1 კვირით ადრე მაინც. შეტყობინებაში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი. იმ შემთხვევაში, თუ კრების მიერ განხილულ უნდა იქნეს საზოგადოების გაუქმების (ლიკვიდაციის) საკითხი, კრების მოწვევის შესახებ საზოგადოების წევრებს უნდა ეცნობოთ 30 დღით ადრე მაინც. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს წერილით, ფაქსით ან ელ-ფოსტით, რაც მოითხოვს ადრესატის მხრიდან მისი ინფორმირებულობის დადასტურებას.
8.4. საერთო კრება წარიმართება საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მიერ. მის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო კრებას წარმართავს გამგეობის მიერ საამისო უფლებამოსილებით არჩეული საზოგადოების ერთ-ერთი წევრი.
8.5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. დასაშვებია საზოგადოების წევრის მიერ საერთო კრებაში სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი მონაწილეობა.
8.6. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუუნარო, იგი მოიწვევა განმეორებით 10 დღის განმავლობაში იმავე წესით, დღის წესრიგით და აღნიშვნით, რომ კრება განმეორებითია. განმეორებით მოწვეული საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.
8.7. საზოგადოების ყველა წევრს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა სხვა წევრისათვის.
8.8. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ფარული ან ღია კენჭისყრით. კენჭისყრის სახეობას განსაზღვრავს საერთო კრება.
8.9. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში განხილული საკითხი მიიჩნევა მიღებულად.
8.10. გადაწყვეტილება წესდების დამტკიცების, მასში შეცვლის თაობაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით. საზოგადოების გაუქმების ან მისი ძირითადი მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა ყველა წევრის ხმათა 4/5-ს.
8.11. საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, შეტანილია საერთო კრების დღის წესრიგში. საკითხი, რომელიც არ იყო წინასწარ შეტანილი დღის წესრიგში, კრებაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით შეიძლება იქნას შეტანილი დღის წესრიგის პუნქტში «სხვადასხვა».
8.12. საერთო კრების ჩატარების დროს მზადდება ოქმი, რომელშიც მიეთითება კრების ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ საერთო კრების თავმჯდომარე და მდივანი.
8.13. საერთო კრების მდივანს ირჩევს კრება.

მუხლი 9
საერთო კრების კომპეტენცია

9.1. საერთო კრების კომპეტენციაა:
ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
ბ) საზოგადოების ძირითადი მიზნების შეცვლა;
გ) საზოგადოების პოლიტიკისა და/ან სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
დ) გამგეობის არჩევა;
ე) გამგეობის ანგარიშის დამტკიცება;
ვ) საწევრო შესატანის ოდენობის და შეტანის ვადის განსაზღვრა;
ზ) საზოგადოების გაუქმებისა და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
თ) საზოგადოებიდან წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ი) კანონისა და წესდების თანახმად სხვა საკითხების გადაწყვეტა.

მუხლი 10
საზოგადოების გამგეობა

10.1. საზოგადოების გამგეობა (შემდგომში – გამგეობა) არის საზოგადოების მართვის უმაღლეს კოლეგიალური ორგანო საერთო კრებებს შორის პერიოდში.
10.2. გამგეობა შედგება 13 წევრისაგან. გამგეობის წევრები არიან:

- **თინათინ ბოლქვაძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: რუსთავი ალ.წულუკიძის I გას. 5. პირადი 35001031166, პ/მ № ბ0242750, გაცემული 04.06.1999 წ. სრს რუსთავის სამსახურის მიერ).
- **ალექსანდრე ფოცხიშვილი (**რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი საბურთალოს ქ. 65 ბ. 2. პირადი № 01024009486, გ0087448, გაც. 04.10.1995 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ.).
- **დარეჯან თვალთვაძე (**რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. 73 ბ. 4. პირადი № 01007009941, დ0256297, გაც. 22.03.2000 წ. დიდუბე-ჩუღურეთის შს III განყოფილების მიერ).
- **დამანა მელიქიშვილი (**რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. 29/2 ბ. 31. პირადი № 01024020142, ბ0166831, გაც.18.06.1997 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ)
- **მერი ნიკოლაიშვილი (**რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. 62ა, პირადი № 01008013147, ა1252106, გაც. 02.03.2009 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ)
- **ლალი ეზუგბაია** (რეგისტრირებული: გალი, რუსთაველის ქ. 19. ამჟამად მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ნუცუბიძის 211/4, ბ. 14. პირადი № 62006008218, ე0039350, გაც. 11.12.1998 წ. სრს გალის სამსახურის მიერ)
- **თინათინ დოლიძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი ვ.ბარნოვის ქ. 109 ბ. 18. პირადი № 01008010005, დ0122607, გაც. 05.10.2004 წ. სრს ვაკის სამსახურის მიერ
- **მარინა ჯიქია** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ატენის ქ. 3 ბ. 10. პირადი № 01008010065, გ0377488, გაც. 04.09.2003 წ. სრ ვაკის სამსახურის მიერ)
- **დავით გოცირიძე** (რეგისტრირებული: თბილისი, მისამართის გარეშე, ამჟამად მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ატენის ქ. №4, ბ. 2. პირადი № 01024001987, დ1217100, გაც. 18.11.2008 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ)
- **თინათინ მარგალიტაძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი, საირმის ქ. კორ. 10 ბ. 18. პირადი № 01024014297, ა0943799, გაც. 13.06.2006 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ)
- **ციური ახვლედიანი** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. 11 ბ. 126. პირადი № 01008000208, დ1379031, გაც. 17.06.2010 წ . სრს ვაკის სამსახურის მიერ)
- **ნანა ქიმერიძე** (რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ც.დადიანის ქ. 39. პირადი № 01030005208, დ0068378, გაც. 19.08.1995 წ. სრს ჩუღურეთის სამსახურის მიერ
- **ნათია ფუტკარაძე** (რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 413 ბ. 124, პირადი № 01019017882, ბ1111155, გაც. 19.11.2007 წ. სრს სამგორის სამსახურის მიერ)

საზოგადოების წევრთაგან გამგეობის წევრად არჩევა ხდება საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით;
10.3. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის რომელიმე წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, გამგეობის ახალ წევრს ნიშნავს თვით გამგეობა, შესაბამისი კვოტების გათვალისწინებით.
10.4. გამგეობის წევრები თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ უსასყიდლოდ.

მუხლი 11
გამგეობის სხდომის ჩატარება

11.1. გამგეობის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე (იგივე – საზოგადოების თავმჯდომარე), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, მისგან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი გამგეობის ერთ-ერთი წევრი.
11.2. გამგეობის მორიგი სხდომები მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც.
11.3. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/4-ს წერილობითი მოთხოვნით.
11.4. გამგეობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე მაინც. გამგეობის სხდომის მოწვევისას გამოიყენება საერთო კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე წესდების დადგენილი პროცედურა.
11.5. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა გამგეობის სხვა წევრისათვის. თუ რომელიმე წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია მისცეს ხმა გადასაწყვეტ საკითხს ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი სახით.
11.6. დაუსწრებლად კენჭისყრაში მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრების შესახებ, გამგეობის წევრმა უნდა აცნობოს გამგეობას სხდომის ჩატარებამდე 1 დღით ადრე მაინც.
11.7. გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.
11.8. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გამგეობის თავმჯდომარეს და განხილული საკითხი მიიჩნევა მიღებულად.
11.9. იმ საკითხის განხილვისას, რომელიც ნებისმიერი სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციითაა წარდგენილი, საკითხს გამგეობის სხდომაზე ავტომატურად აქვს ერთი დამატებითი მომხრე ხმა.
11.10. გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავჯდომარე, გამგეობის წევრები და მდივანი.
11.11. გამგეობის სხდომის მდივანს ირჩევს გამგეობა.

მუხლი 12
გამგეობის კომპეტენცია

12.1. გამგეობის კომპეტენციაა:

- მოიწვიოს და ჩაატაროს საერთო კრება, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ აცნობოს ფონდის წევრებს;
- შეიმუშაოს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებები;
- განიხილოს და დაამტკიცოს საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა პროექტები;
- განსაზღვროს გამგეობის წევრთა ფუნქციები;
- მიიღოს საზოგადოებაში ახალი წევრები;
- სარეკომენდაციო წერილით მიმართოს საზოგადოების იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- დაამტკიცოს საზოგადოების საბიუჯეტო პარამეტრების პროექტი;
- დააფუძნოს იურიდიული პირები და გადაწყვიტოს მათში საზოგადოების წილობრივი მონაწილეობის საკითხი, კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამტკიცოს დაფუძნებულ იურიდიულ პირთა წესდებები და ხელმძღვანელები;
- განსაზღვროს საზოგადოების ხელმძღვანელობის ფარგლები წინამდებარე წესდების მიხედვით;
- განკარგოს საზოგადოების ქონება;

- გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს საზოგადოების აღმასრულებელი რგოლის ორგანიზაციულ სტრუქტურა, თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების საშტატო ერთეულები და სახელფასო განაკვეთები;
- შექმნას საზოგადოების ფილიალები, დაამტკიცოს მათი დებულებები;
- წარმართოს საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი;
- დაამტკიცოს საზოგადოების ბეჭდის, შტამპისა და საწევრო წიგნაკის ნიმუშები;
- წარუდგენოს გაწეული საქმიანობის ანგარიში საერთო კრებას;
- გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

12.2. გამგეობა ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებას, ასევე, შეასრულოს სხვა ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით და საზოგადოების საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

მუხლი 13
ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

13.1. საზოგადოების მიმდინარე საქმეების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს საზოგადოების **თავმჯდომარე (იგივე -** საზოგადოების **გამგეობის თავმჯდომარე)**: **თინათინ ბოლქვაძე** (დაბადებული 08.11.1966 წ. რუსთავი, რეგისტრირებული და მცხოვრები მისამართზე: **რუსთავი ალ.წულუკიძის I გას. 5.** პირადი 35001031166, პ/მ № ბ0242750, გაცემული 04.06.1999 წ. სრს რუსთავის სამსახურის მიერ)

13.2. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე საზოგადოების საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მის წინაშე.

13.3. საზოგადოება ირჩევს საპატიო თავმჯდომარეს. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია **ალექსანდრე ფოცხიშვილი** (დაბ. 13.09.1925 წ. ჩოხატაური. რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი საბურთალოს ქ. 65 ბ. 2**. პირადი № 01024009486, გ0087448, გაც. 04.10.1995 წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ).

მუხლი 14
თავმჯდომარე

14.1. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს საზოგადოების წევრთაგან 4 წლის ვადით ირჩევს საზოგადოების მორიგი საერთო კრება.

14.2. პირი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორზე მეტი ვადით.

14.3. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

14.4. თავმჯდომარე:

ა) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

გ) წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალურ ქონების მართვას;

ე) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების აღმასრულებელი რგოლის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ვ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

14.5. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

14.6. საზოგადოების თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს არ უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

მუხლი 15
საზოგადოების ქონება

15.1. საზოგადოების ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

15.2. საზოგადოების ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

115.3. საზოგადოების გამგეობამ მიღებული შემოსავლებიდან შეიძლება შექმნას სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებები.

მუხლი 16
საზოგადოების რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია)

16.1. საზოგადოების რეორგანიზაცია (მიერთება, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.2. საზოგადოების გაუქმება (ლიკვიდაცია) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

ბ) თუ საზოგადოების არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;

გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.3. საზოგადოებიდან რომელიმე წევრის გასვლა არ გამოიწვევს საზოგადოების გაუქმებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წევრის ან დამფუძნებლის გასვლა გამოიწვევს კანონით განსაზღვრული აუცილებელი რაოდენობის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების წევრის გასვლის ძალაში შესვლამდე მიღებული უნდა იქნას ახალი წევრი ან დამფუძნებელი.

16.4. საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. ლიკვიდაციის განხორციელება შეიძლება გამგეობისგან დაევალოს გამგეობის ერთ ან რამდენიმე წევრს.

16.5. საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.6. საზოგადოების ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ საზოგადოების დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე არაკომერციულ (არასამეწარმეო) ორგანიზაციას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გამოიტანს საზოგადოების საერთო კრება.

მუხლი 17
დავების გადაწყვეტა

17.1. საზოგადოების წევრებს ან დამფუძნებლებს, ასევე საზოგადოებისა და მის წევრებს ან დამფუძნებლებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

17.2. საზოგადოების და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18
დასკვნითი დებულებები

18.1. წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წესდებაში რაიმე ხარვეზი იქნება დადგენილი.

18.2. ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსებად შეთანხმებულ უნდა იქნას შესაბამისი კანონმდებლობით აუკრძალავი მოწესრიგება, რომელიც უფრო ახლოა საზოგადოების წევრების ნებასთან, აგრეთვე შეესაბამება წესდების არსსა და მიზანს.
18.3. საზოგადოების ორგანოს და/ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ისინი აგრძელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს ახალი ორგანოებისა და/ან თანამდებობის პირის უფლებამოსილების ცნობამდე.
18.4. წესდებაში ხარვეზის არსებობისას, გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.
18.5. წესდება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმებისა და საზოგადოების რეგისტრაციის მომენტიდან.

1. თინათინ ბოლქვაძე ----------
2. ალექსანდრე ფოცხიშვილი ----------
3. დარეჯან თვალთვაძე ----------
4. დამანა მელიქიშვილი ----------
5. მერი ნიკოლაიშვილი ----------
6. ლალი ეზუგბაია ----------
7. თინათინ დოლიძე ----------
8. მარინა ჯიქია ----------
9. დავით გოცირიძე ----------
10. თინათინ მარგალიტაძე ----------
11. ციური ახვლედიანი----------
12. ნანა ქიმერიძე----------
13. ნათია ფუტკარაძე ----------